სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მისაღები საგამოცდო და გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

1. სპეციალობაში გამოცდის შეფასების კრიტერიუმები

სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. აპლიკანტს საკითხების ნუსხიდან მიეცემა 4 საკითხი. საკითხები აუცილებლად დაფარავს სოციალური თეორიებს, დარგობრივ სოციოლოგიას და სოციალური კვლევის მეთოდებს. თითოეული საკითხის „წონაა“ 25 ქულა. შესაბამისად, სპეციალობაში გამოცდის საფუძველზე სტუდენტი დააგროვებს მაქსიმუმ 100 ქულას.

თითოეულ საკითხში ქულების განაწილება ხდება შემდეგნაირად:

1.1. საკითხის ცოდნა და ანალიზი (20 ქულა)

- პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან/და პასუხი არ არის წარმოდგენილი (0 ქულა)
- საკითხში ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა და ანალიზი (1-5 ქულა)
- საკითხში ნაწილობრივ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი (6-10 ქულა)
- საკითხში ძირითადად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა, მეტწილად გაანალიზებულია საკითხი (11-15 ქულა)
- საკითხში მკაფიოდ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის სრულყოფილი ციდნა და ამომწურავად არის საკითხი გაანალიზებული (16-20 ქულა)

1.2. აკადემიური წერის კულტურა (5 ქულა)

- აკადემიური სტილი (0-1 ქულა)
- აკადემიური სტილი ნაკლებად გამართულია (2 ქულა)
- აკადემიური სტილი ნაწილობრივ გამართულია (3 ქულა)
- აკადემიური სტილი მეტწილად გამართულია (4 ქულა)
- აკადემიური სტილი სრულიად გამართულია (5 ქულა)

2. გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები

გასაუბრება (რომლის „წონაა“ 100 ქულა) შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

2.1. **სტუდენტის მოტივაცია 50 ქულა**

- ✓ სტუდენტის მოტივაცია სრულიად თანხვედრაშია სოციოლოგიის პროგრამის მიზნებთან (41-50 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია მეტწილად თანხვედრაშია სოციოლოგიის პროგრამის მიზნებთან (31-40 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაწილობრივ თანხვედრაშია სოციოლოგიის პროგრამის მიზნებთან (21-30 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია ნაკლებად თანხვედრაშია სოციოლოგიის პროგრამის მიზნებთან (11-20 ქულა)
- ✓ სტუდენტის მოტივაცია არ შეესაბამება სოციოლოგიის პროგრამის მიზნებს (0-10 ქულა)

2.2. **ინგლისური ენის კომპეტენცია (50 ქულა)**

ზეპირი გასაუბრება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ფასდება აპლიკანტის ენობრივი კომპეტენცია ზოგადი ტიპის შეკითხვებით, აპლიკანტი ვალდებულია უპასუხოს გამსაუბრებლის 5 შეკითხვას. თითოეული შეკითხვაზე პასუხი ფასდება 6 ქულით. ჯამში - 30 ქულა. მეორე ნაწილში მოიაზრებს ტექსტის თარგმანს.

ზეპირი გასაუბრება ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში ფასდება აპლიკანტის ენობრივი კომპეტენცია ზოგადი ტიპის შეკითხვებით, აპლიკანტი ვალდებულია უპასუხოს გამსაუბრებლის 5 შეკითხვას. თითოეული შეკითხვაზე პასუხი ფასდება 6 ქულით. ჯამში - 30 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები:

პასუხის გრამატიკული გამართულობა - 3 ქულა;
პასუხის ლექსიკური გამართულობა - 3 ქულა;
შეფასების რუბრიკა:
3 ქულა - ზედმიწევდით და სრულად შესაბამისია მოთხოვნებთან;
2 ქულა - ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს;
1 ქულა - ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებსლ
0 ქულა - არ შეესაბამება მოთხოვნებს.

უცხო ენაში გასაუბრებისას სტუდენტებს მიეწოდებათ სპეციალობის რომელიმე საკითხის ინგლისურენოვანი ტექსტი (კომპონენტი ფასდება 20 ქულით). შეფასება ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმზე დაყრდნობით:

- ✓ ტექსტის თარგმანი სრულიად გამართულია (16-20 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი მეტწილად გამართულია (11-15 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი ნაწილობრივ გამართულია (6 -10 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი ნაკლებად გამართულია (1-5 ქულა)
- ✓ ტექსტის თარგმანი გაუმართავია (0 ქულა)

საბოლოო ჯამში, სტუდენტი. გამოცდის და გასაუბრების კომპონენტების საფუძველზე, შეფასდება 100 ქულიან სკალაზე, რომელზეც წერითი გამოცდის შედეგებს ექნება 60%-იანი ფარდობითი წილი, ხოლო გასაუბრების შედეგებს - 40%-იანი ფარდობითი წილი